კამეჩები

ალექს ჩიღვინაძე

მოქმედი პირები:

სოფია, 79 წლის

ვანო, სოფიას შვილი

მარო, სოფიას მომვლელი

ოთახის კედლებში გაჭრილი ცხრა კარი. ყველა სხვადასხვა ფერის და ფაქტურის: ხის, რკინის, გამჭირვალე, სიფრიფანა, მეტალოპლასტმასის, მასიური, მონჯღრეული და მოჭრიალე. შეღებული კარიდან გამოსული სინათლის ხაზებით აჭრელებული სივრცე. მაგიდა. სკამები. ოთახის მცენარეები. უმეტესობა გამხმარი.

ზოგიერთი სცენა კარს მიღმა თამაშდება, მხოლოდ დიალოგი და ხმები გვესმის. ფსიქიატრის და ექთნის რეპლიკებს ვანოს და მაროს როლის შემსრულებელი მსახიობები ინაწილებენ.

1.

სცენა კარს მიღმა. სოფია და ექთანი.

ექთანი: ვინმე უნდა გახლდეთ, რომ სახლამდე მიგაცილოთ.

სოფია: გასაგებია.

ექთანი: ანუ მოგაკითხავენ?

სოფია: კი, ალბათ.

ექთანი: დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ვინმე მოვა.

სოფია: იმედია მოვა.

ექთანი: ზუსტად უნდა ვიცოდეთ. შვილები გყავთ?

სოფია: შვილები არა.

ექთანი: მარტო ცხოვრობთ?

სოფია: დიახ. მაგრამ ჩემი ერთი ნაცნობი, ძველი მეგობარი ცხოვრობს მეზობლად და მომაკითხავს.

ექთანი: და შემდეგ ვინმე უნდა დარჩეს თქვენთან 24 საათის განმავლობაში.

სოფია: 24 საათი?

ექთანი: დიახ.

სოფია: ანუ მთელი დღის განმავლობაში?

ექთანი: დიახ, მთელი დღე.

სოფია: არ უნდა მომშორდეს?

ექთანი: არა. შეძლებს თქვენი მეგობარი? დარჩება თქვენთან?

სოფია: წესით შეძლებს, კი.

ექთანი: არ გაგიფრთხილებიათ? იცის რომ 24 საათის განმავლობაში გჭირდებათ მეთვალყურეობა?

სოფია: მე ვუთხარი ალბათ საავადმყოფოდან სახლში გაცილება დამჭირდება-მეთქი.

ექთანი: ანუ შეიძლება ვერ მოახერხოს თქვენთან დარჩენა?

სოფია: ზუსტად არ ვიცი.

ექთანი: დაურეკეთ და ჰკითხეთ.

სოფია: ჯერ ძალიან ადრეა. ალბათ ძინავს.

ექთანი: ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. სხვანაირად ამ პროცედურას ვერ გავაკეთებთ.

სოფია: ისე რომ ვცადოთ?

ექთანი: ისე როგორ?

სოფია: გამაყუჩებლის გარეშე.

ექთანი: იცით არ არის ეს მთლად სასიამოვნო პროცედურა.

სოფია: მტკივნეულია?

ექთანი: როგორ გითხრათ. მტკივნეული არ არის, მაგრამ უსიამოვნოა. თქვენზეა დამოკიდებული, იმაზე თუ როგორ იტანთ ტკივილს.

სოფია: რა, რა და ტკივილის ატანა ნამდვილად შემიძლია.

ექთანი: მოიცადეთ, ექიმთან გავარკვევ.

სოფია ოხრავს.

2.

ოთახში. სოფია და მარო.

მარო: შუქს არ აანთებ?

სოფია: ახლავე.

სოფია შუქს ანთებს.

მარო: რამხელა სახლია. ისეთი განცდა მაქვს, რომ ნამყოფი ვარ აქ. რამდენი კარია. რამდენი ოთახია. რამდენი ფოტოა. ეს შენ ხარ? არ მითხრა რომ ეს შენ ხარ. არ მჯერა. არა, გზაშიც გაკვირდებოდი და კი მეცნობოდი, ძალიან მეცნობოდი. სად მყავს ნანახი-თქო. ძალიან უცნაურია ეს ყველაფერი. არა, ცნობილ ადამიანებსაც ვიცნობ, მაგრამ ძირითადად ისეთებს… ნუ როგორ ვთქვა. ცნობილებს, მაგრამ არც ისე ცნობილებს, თითქმის ცნობილებს. ხვდები ხომ? აი, შენნაირ ადამიანს პირველად შევხვდი. ნამდვილს... იცი რომ ბავშვობაში ბალერინობაზე ვოცნებოდი?

სოფია: მერე?

მარო: რა მერე?

სოფია: რატომ არ გახდი ბალერინა?

მარო: მეხუმრები? შემომხედე.

სოფია: გიყურებთ. მერე?

მარო: რას ხედავ? რა ოცნება? ოცნება ჩემნაიერებისთვის არ არის. ბავშვობიდანვე მივხვდი ამას. მივხვდი რა, მიმახვედრეს და პრინციპში ალბათ მადლობელიც უნდა ვიყო ამისთვის.

სოფია: რისთვის?

მარო: რომ ბავშვობაშივე ამიხსენეს, თან სიტყვებით კი არ ამიხსნეს? მუშტებით, წიხლებით… ჩამიკაკლეს, რომ არაფერი შეიცვლება. ყველაფერი იქნება ცუდად და თანდათან კიდევ გაუარესდება. ტკვილები, ტანჯვა არსად გაქრება. პირიქით გაიზრდება, მოიმატებს, ყველაფერს გადაფარავს.

სოფია: არც მე მქონია დალხენილი ბავშვობა.

მარო: გაუუპატიურებიხართ 13 წლის ასაკში?

სოფია: არა.

მარო: კაცს, ვისაც ბიძიას ეძახდი. ბნელ ოთახში შეუთრევიხარ და გაუპატიურებიხარ? არა, ხომ? მისი ქშენის ხმა ახლაც კი მახსოვს. რამდენი რამე დამავიწყდა და ეს კი ისე ცხადად მახსოვს. ასე რომ ნუ იტყვი რა, ნუ შემედრები. შენთვის ცხოვრება სულ სხვანაირია.

სოფია: როგორია მაინც?

მარო: აი, ვუყურებ ფოტოებს და… ბრწყინავ, ანათებ. ლაღი ხარ, ბედნიერი… არ ვიცი. მე ასეთი არასოდეს ვყოფილვარ. რომ მოვინდომო, ძალიან რომ ვეცადო, მაინც არ გამომივა.

სოფია: ახლა თქვენ შემომხედეთ.

მარო: გიყურებ.

სოფია: მერე რას ხედავთ? ხედავთ სადმე ბედნიერებას? წარმატებას? ან სილაღეს თუ ხედავ სადმე? ხედავ ერთ უბედურ, მარტოხელა ბებრუხანას.

მარო: რამდენი წლის ხარ?

სოფია: ოთხმოცის ვხდები.

მარო: რას ამბობ? ყოჩაღ. არ მჯერა. მართლა ოთხოცის ხარ? შანსი არაა. ჩემზე მაგრად გამოიყურები. მართლა. იქ რომ იდგე, სადაც ვდგავართ, ჩვენ ვინღა

შემოგვხედავს. მართლა, არ გეხუმრები. გუშინ საჭმელი გავაკეთე. სუპი. უბრალო სუპი. ვერ ვიტან, მაგრამ სხვა არაფერი მქონდა და სულ მშრალი საჭმლის ჭამითაც დავიღალე. გავაკეთე, დავისხი თეფშზე. დავჯექი და უნდა ვჭამო და ვხედავ თმა თეფშში. და პირველად მოხდა, რომ კი არ გავღიზიანდი. უბრალოდ მოვიწყინე. საშინლად მოვიწყინე.

სოფია: რატომ?

მარო: იმიტომ რომ ჭაღარა თმა იყო.

სოფია: ვისი თმა?

მარო: რა ვისი? ჩემი, ჩემი თმა. მე ვინ გამიკეთებს საჭმელს? არ მეტყვი აქ რატომ მომიყვანე?

სოფია: მინდა, რომ სამსახური შემოგთავაზო.

მარო: რა სამსახური? მე ბევრი არაფერი შემიძლია.

სოფია: ბევრი არც არაფერია საჭირო.

მარო: მარტო ცხოვრობ?

სოფია: ჰო.

მარო: სულ მარტო?

სოფია: ჰო.

მარო: არც კატა გყავს?

სოფია: არა, არც კატა.

მარო: ქმარი?

სოფია: ქმარი მომიკვდა.

მარო: რატომღაც წარმომედგინა, რომ შენნაირი ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ დიდი ოჯახებით. ძაღლი, კატა, რა ვიცი, ფარშევანგი. ბუხარი, დიდი სუფრები, სადღეგრძელოები, ბაფთიანი გიტარების გადაწოდება, შამპანურები.

სოფია: ბუხარი არ მაქვს. სასმელს თითქმის არ ვსვამ. მარტო ვარ და ამიტომ ხართ აქ. დამხმარე მჭირდება.

მარო: და მე რა შემიძლია?

სოფია: ცოტა ხნის წინ, რაღაც პროცედურა დამჭირდა და შემდეგ ვიღაც უნდა ყოფილიყო ჩემთან ერთად 24 საათი.

მარო: 24 საათი შენთან უნდა ვიყო?

სოფია: არა. არა. უბრალოდ იმ დღეს დამჭირდა, სედაცია უნდა გაეკეთებინათ. გამაყუჩებელი და შემდეგ ვინმეს უნდა მოვეცილებინე სახლში და მთელი დღე ჩემთან დარჩენილიყო. ჰოდა, ვერავინ გავიხსენე.

მარო: შენ? შენ ვერ გაიხსენეთ ვერავინ?

სოფია: ვერავინ.

მარო: საერთოდ ვერავინ?

სოფია: ვერა.

მარო: და პირველ შემხვედრს გაუჩერე მანქანა?

სოფია: დიახ. რატომ გიკვირთ?

მარო: არა, არ გინდათ რა ეს თქვენობით, ცოტა ვიძაბები. ძირითადად ის კლიენტები ვინც თქვენობით მომმართავს, მაგარი მანიაკები აღმოჩნდებიან ხოლმე. მტკენენ, მამცირებენ... გუშინ იყო ერთი და ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად ჩაედო. არადა, პატარა ჰქონდა. ძალიან. მაწვება, მაწვება... მეთქი-ვიგუდები. გაიწიე. გაიწიე და ბოლოს ისეთ ვუჩქმიტე, რომ აწკმუტუნდა და თავში ჩამარტყა მუშტი. მუშტის ჩარტყმა ეგრე არ უნდა-თქო და მაგრად გავიგდე.

მეხვეწებოდა, გაჩერდიო. გონიათ, რომ ჩხუბი არ შემიძლია. ისეთი ჩხუბი ვიცი, რომ ბევრი ვერ დამიდგება წინ. თუ გინდა შენი მცველი ვიქნები. გინდა? მცველობა შემიძლია. აი, სახლის დალაგება კარგად არ გამომდის.

სოფია: ეგ არც მოგეთხოვება.

მარო: შვილები არ გყავს?

სოფია: ერთი ბიჭი მყავს.

მარო: მერე?

სოფია: რა მერე? ის თავისთვის ცხოვრობს, მე ჩემთვის.

მარო: შვილიშვილები?

სოფია: ორი. ერთი კანონიერი, მეორე უკანონო.

მარო: უკანონო რას ნიშნავს? არ აღიარებს?

სოფია: არა, მაგრამ მე გავიცანი და იშვიათად ვხვდები კიდეც. ვეხმარები რაც შემიძლია. თუმცა ჩემმა შვილმა არც იცის ამის შესახებ.

მარო: რატომ არ უთხარი?

სოფია: თვითონ რატომ არ მითხრა? ამიტომ არ ვუთხარი მეც. მართვის მოწმობა გაქვს?

მარო: ნწუ.

სოფია: აიღე და შეგიძლია ჩემი მანქანით იარო.

მარო: მგონია, რომ ვერასდროს ჩავაბარებ გამოცდას.

სოფია: ჩააბარებ, მარტივია.

მარო: ვერა. აი, არასოდეს არ მაინტერესებდა მანქანა. წარმოდგენა არ მაქვს როგორ დადის. ჩემთვის მძღოლი არის ღმერთი.

სოფია: მალე ისწავლი. ნუ გეშინია.

მარო: სწავლით შეიძლება ვისწავლო, მაგრამ ქალაქში ვერ დავჯდები. მეშინია.

სოფია: რისი გეშინია?

მარო: მეშინია, რომ გადამთელავენ. მომკლავენ. ყველა ერთმანეთს აგინებს გზებზე, უყვირიან… ომია. ბრძოლაა. მე კიდევ არ შემიძლია ეს ომები. სულ ომში ვარ. სულ ვიბრძვი. არადა, კაპიტულაციაა ჩემი საყვარელი სიტყვა. ხომ მაგარი სიტყვაა? იმდენი სიტყვის მნიშვნელობა არ მცოდნია. სახლი რომ ვიქირავე, ორი წიგნი დამხვდა. ახალი აღთქმა და "უცხო სიტყვათა ლექსიკონი". ვზივარ და ვსწავლობ სიტყვებს. მაგალითად, იცით რა არის რატიციდები?

სოფია: რა არის?

მარო: თაგვების და ვირთაგვების მოსასპობი წამალი. ისე ბინაში თაგვები მყავს. მაგრამ ვერ ვწამლავ. ვერ ვკლავ. თაგვსაც კი ვერ ვკლავ. მიუხედავად იმისა რომ ძალიან ბევრი ვინმეს მოკვლა მინდა. ვიცი, რომ არ გამომივა.

სოფია: მეც მინდოდა და ვერ გავბედე.

მარო: შენ ვისი მოკვლა გინდოდა?

(პაუზა)

სოფია: ქმრის.

მარო: რატომ?

სოფია: რა ვიცი, ისე.

მარო: მე როცა გაბრაზებული ვარ და ვინმეს მოკვლა მინდა, ფსალმუნებს ვკითხულობ.

სოფია: მერე?

მარო: მამშვიდებს.

სოფია: წამიკითხავ მეც?

მარო: რა თქმა უნდა. უფალმან მწყემსოს მე და არაი მაკლდეს...

სოფია: ზეპირად იცი?

მარო: ადგილსა მწვანესა დამამკვიდრა მე, და განსასვენებელ წყლებზე გამომზარდა. მოაქცია სული ჩემი და მიძღოდა მე გზათა სიმართლისათა სახელითა მისისათვის. სიკვდილის აჩრდილთა შორისაც რომ გავიარო, არ შემეშინდება ბოროტისა, რადგან ჩემთან ხარ… წყალობა შენი, უფალო, წყალობა შენი. თანამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისასა, ყოველთა დღეთა ჩემთა ცხოვრებისასა…

სოფია: ლამაზია.

მარო: დიაზეპამზე უკეთ მოქმედებს.

სოფია: ვიდეოს გადაღება შეგიძლია?

მარო: რა ვიდეოს?

სოფია: უბრალოდ დავჯდები და ვილაპარაკებ.

მარო: რაზე ილაპარაკებ?

სოფია: ჯერ არ ვიცი.

3.

იგივე ოთახში. სოფია და ვანო.

სოფია: რომელი საათია?

ვანო: რვა ხდება.

სოფია: გამთენიისას ჩამეძინა.

ვანო: გირეკავდი და არ მიპასუხე.

სოფია: გეგონა რომ მოვკვდი?

ვანო: ნუ გეშინია. ჯერ არ მოკვდები.

სოფია: შენ რა იცი?

ვანო: ვგრძნობ. ახლა დავფიქრდი და არავის სიკვდილი, არცერთი ახლობელი ადამიანის სიკვდილი არ ყოფილა ჩემთვის მოულოდნელი.

სოფია: ეგ როგორ?

ვანო: არ ვიცი. წინასწარ ვგრძნობდი...

სოფია: არ დამიმალო. კარგი?

ვანო: რა?

სოფია: წინასწარ მითხარი როცა ჩემი დრო მოვა. როცა იგრძნობ, რომ უნდა მოვკვდე.

ვანო: რა გჭირს?

სოფია: რა უნდა მჭირდეს?

ვანო: არასოდეს გილაპარაკია ასე.

სოფია: ასე როგორ?

ვანო: წუწუნით.

სოფია: არ ვწუწუნებ.

ვანო: კოშმარი დაგესიზმრა?

სოფია: კამეჩები მესიზმრა ისევ. მეზობლებს ჰყავდათ კამეჩები. ხანდახან მდინარე წაიღებდა და ზღვაში გაიყვანდა და ვეღარ გამოდიოდნენ. ერთხელ

მეზობლის კამეჩები წავიდნენ ზღვაში. ძალიან შორს იყვნენ. ისე შემეცოდა ის ჩვენი მეზობელი, რომ ზღვაში შევცურე. გავიძრე კაბა და შევარდი ზღვაში. არადა, ციოდა. სად მიდიხარო, კიოდა ის ქალი. სად მიდიხარ, გოგო. სადო? უკან რომ მოვიხედე ნაპირი არ ჩანდა. მაგრამ არ გავჩერდი და ნაპირზე გამოვუყვანე კამეჩები. ეს რა ქენი ამ პატარა გამწლეულმა გოგომ, ეს როგორ ჰქენიო. მთელ სოფელს მოსდო. სად არ ვყოფილვარ რა არ მინახავს. ამერიკაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, აფრიკაში. სად არ მიცეკვია. სად არ... და მე მაინც ის განწირული შავი კამეჩები მესიზმრებიან...

ვანო: შავი კამეჩები შავ ზღვაში.., ვიცი, ვუსმინე, ვუყურე შენს მონოლოგს.

სოფია: ხოო? მერე?

ვანო: რა მერე?.

სოფია: ამიტომ მოხვედი?

ვანო: ვარჯიშობდი. დავრბოდი და ამოგიარე.

სოფია: შვიდ საათზე.

ვანო: რვაა უკვე.

სოფია: რვაზე.

ვანო: ჰო, რა იყო? არ შეიძლება დედასთან მიხვიდე დილით? ცოტა ხილი მოგიტანე.

სოფია: გმადლობ.

ვანო: რა დაემართათ ამ მცენარეებს? მორწყვა დაგავიწყდა?

სოფია: ვრწყავდი თითქოს.

ვანო: რას რწყავდი, გადამხმარია ყველაფერი. არ არის მებაღეობა შენი საქმე. ჟურნალისტები დაგიკავშირდნენ?

სოფია: ვიღაცები რეკავდნენ მგონი. შეიძლება ჟურნალისტებიც იყვნენ. არ მიპასუხია.

ვანო: კარგი გიქნია. არც უპასუხო.

სოფია: რატომ?

ვანო: იმიტომ რომ ყველა შენს ვიდეოზე ლაპარაკობს და...

სოფია: ვინ ყველა? ვის სცხელა ჩემი ვიდეოსთვის, ქვეყანა ინგრევა.

ვანო: მილიონმა ადამიანმა ნახა უკვე.

სოფია: რა?

ვანო: შენი ვიდეო. მილიონი ნახვა აქვს ერთ დღეში.

სოფია: რას ამბობ?

ვანო: დიახ. აი, თუ არ გჯერა. შეხედე. კომენატარებს შეხედე. ოცი ათასი კომენატარია. უკვე მეტია...ემატება და ემატება.

სოფია: რაო? რას წერენ?

ვანო: იგინებიან, ითათხებიან, დედა. ნერვები აღარ მაქვს. ყველა კომენატრს ხომ არ ვუპასუხებ.

სოფია: წამიკითხე აბა.

ვანო: რა წაგიკითხო? რა? როგორ გლანძღავენ? რად გინდოდა საერთოდ? რა იუთუბერობა და ტიკტოკერობა მომინდომე ამ 80 წლის ასაკში? და ვინ გადაგაღებინა?

სოფია: ჩემით გადავიღე.

ვანო: რა გადაიღე, შენით? ახალ ნომერს ვერ იწერ ტელეფონში და შენით გადაიღე, დაამონტაჟე და ატვირთე?

სოფია: მონტაჟი არ არის.

ვანო: და საერთოდ რატომ გადაწყვიტე ასე სიტყვით გამოსვლა?

სოფია: უბრალოდ ვგრძნობ, რომ სათქმელი მაქვს.

ვანო: სათქმელი?

სოფია: კი. სათქმელი.

ვანო: და რა გაქვს სათქმელი?

სოფია: ვიდეო არ გინახავს?

ვანო: ვნახე, მაგრამ ვერ მივხვდი.

სოფია: სათქმელი იმდენი მაქვს, იმდენი რომ არც ვიცი საიდან დავიწყო. ოთხმოცის ვხდები და ვერ ვმშვიდდები ვერაფრით.

ვანო: ნერვიულობ რამეზე?

სოფია: არა. არ ვიცი. მინდა ვიყვირო თვალებს გავახელ თუ არა, ვიღრიალო მინდა საწოლში...

ვანო: გინდა ფსიქოლგთან წავიდეთ?

სოფიას ეცინება.

ვანო: რა იყო? სასაცილო რა ვთქვი?

სოფია: 80 წლის ასაკში? ფსიქოლოგთან?

ვანო: ჰო. და მას ელაპარაკე. მას მოუყევი ყველაფერი რისი თქმაც გინდა.

სოფია: ფსიქოლოგს?

ვანო: ჰო. ქეთი ვისთანაც დადიოდა.

სოფია: შენი ცოლი.

ვანო. ჰო.

სოფია: უშველა?

ვანო: კი. კი. ძალიან კმაყოფილია.

სოფია: წამლებს ისევ სვამს?

ვანო: კი.

სოფია: არ მინდა, გმადლობ.

ვანო: აბა, რა გინდა? რომ კამერასთან ილაპარაკო? ყველას გასაგონად? სკანდალი გინდა?

სოფია: კი, რატომაც არა.

ვანო: შენი შვილიშვილი რომ კინაღამ სკოლიდან გააგდეს, იცი?

სოფია: რატომ?

ვანო: ერთ კლასელს რაღაც უთქვამს შენს ვიდეოზე და ამან თავი გაუტეხა.

სოფია: ახლა მე დამაბრალე.

ვანო: გატყუებ?

სოფია: სამი თვის წინ ვიღაცას ხელი არ მოტეხა?

ვანო: ეგ შემთხვევით.

სოფია: რა იყო შემთხვევით? მომიყვა და ისეთი სიამოვნებით აღწერდა, რომ ცოტა შემეშინდა. აი, შენს შვილს კი ნამდვილად სჭირდება ფსიქოლოგი.

ვანო: უბრალოდ ასაკი აქვს ესეთი. მეც ეგეთი ვიყავი მის ასაკში.

სოფია: ჰოდა, ძალიან შევცდი, რომ ფსიქოლოგთან არ მიგიყვანე.

ვანო: როდის უნდა მიგეყვანე დედა? როდის იყავი სახლში რომ ფსიქოლოგთან წაგეყვანე?

სოფია: ჩემი თავისუფალი დროის ყოველი წუთი შენ გეძღვნებოდა.

ვანო: მე მეძღვნებოდა?

სოფია: რა თქმა უნდა.

ვანო: გქონდა რო თავისუფალი დრო?

სოფია: ბევრი არ მქონდა.

ვანო: საერთოდ არ გქონდა.

სოფია: სამაგიეროდ ბავშვობიდან მიხვდი, რომ ყველა ადამიანი მარტოსულია.

ვანო: დიდი მადლობა შენ და მამას ამისთვის. მაგაზე არ გინდა რომ ილაპარაკო? როგორ ავუხსნათ შვილს, რომ ყველა ადამიანი მარტოსულია?

სოფია: შეიძლება.

ვანო: არა, მაგაზე არ ილაპარაკებ.

სოფია: შენ რა იცი მე რაზე ვილაპარაკებ და რაზე არა?

ვანო: კარგი რა. თუ ილაპარაკებ, ილაპარაკებ მხოლოდ საკუთარ თავზე, არ ვიცოდე მაინც. უნდა წარმოაჩინო როგორი დიდებული ადამიანი ხარ, მაღალი ზნეობის, პრინციპული და პოეტური ნატურა... შავი კამეჩები შავ ზღვაში და ასე შემდეგ.

სოფია: სამწუხაროდ არ ვარ პრინციპული. რასაც მეუბნებოდნენ იმას ვაკეთებდი, ასე იყო თეატრში. მეუბნებოდნენ იცეკვე ეს, ვცეკვავდი. სახლშიც მამაშენის დაკრულზე დავდიოდი.

ვანო: რა სისულელეა. ყოველთვის იმას აკეთებდი რაც მოგეპრიანებოდა.

სოფია: ასე არ იყო.

ვანო: ასეა დღემდე. ადექი და ჩაწერე. არ იფიქრე არც ჩემზე, არც...

სოფია: ღმერთო, ვანო, შენ რა შუაში ხარ შვილო?

ვანო: საჯარო ფიგურა ვარ დედა. შემჭამენ ახლა. არ მომასვენებენ… მიდი და აკეთე კომენტარები. ვიცოდე, მაინც რა ვთქვა.

სოფია: რაზე უნდა გააკეთო კომენატარი?

ვანო: რაზე შენს ბოდვაზე.

სოფია: მერე თქვი შენც, რომ ბოდვაა. მოხუცი დედა ბოდავს. მარტოა, მოწყენილია და ბოდავს-თქო. მე რა შუაში ვარ-თქო, უთხარი. თქვი რასაც ფიქრობ.

ვანო: რასაც ვფიქრობ ის რომ ვთქვა…

სოფია: რა? რომ თქვა რა? სულ რომ იტყუები, იმიტომ აქვს შენ პარტიას ორი პროცენტი.

ვანო: სამი აქვს. თითქმის. და სიმართლე რომ ვილაპარაკო, ის სამიც არ მექნება. აიღე რა დედა, ვიდეო. გთხოვ.

სოფია: ერთ კვირაში ყველას ყველაფერი დაავიწყდება.

ვანო: არაფერიც არ დაავიწყდებათ. რა მოხდება რომ აიღო?

სოფია: არა.

ვანო: გძულვარ დედა?

სოფია: რას ამბობ?

ვანო: გძულვარ. გეზიზღები და არ ვიცი, რატომ. თუმცა არა, ვხვდები.

სოფია: რას ხვდები?

ვანო: იმიტომ რომ შენზე ყველაფერი ვიცი. სინამდვილეში ვინ ხარ და რა გამოაირე. ყველა შორიდან გიცნობს, უნახავთ როგორ ბრწყინავდი სცენაზე. აი, მე კი კულისებიდან გიცნობ, ოფლი წურწურით რომ ჩამოგდიოდა...

სოფია: როგორ შეიძლება დედას შვილი სძულდეს? რას იძახი შენ საერთოდ? აი, პირიქით კი შეიძლება.

ვანო: მაშინ რატომ არ დამელაპარაკე?

სოფია: რაზე?

ვანო: რასაც იმ ვიდეოში ლაპარაკობ, დაგერეკა ჩემთვის. დავმსხდარიყავით და გველაპარაკა.

სოფია: როდის დაგლაპარაკებოდი? მოდიხარ აქ? როდის იყავი ბოლოს?

ვანო: არ მცალია, დედა. როცა მცალია მოვდივარ. დაგერეკა და მოვიდოდი.

სოფია: იმ ვიდეოში შენ გელაპარაკები.

ვანო: მთელი ერის გასაგონად?

სოფია: მთელი ერის არა, იმის კიდევ. ჩემთვის ვბჟუტურებ მართლა რაღაცას, ნახავს რამდენიმე ადამიანი.

ვანო: რამდენიმე კი არა მილიონმა ნახა უკვე. მილიონმა-თქო. არ გესმის? ოპერიდანაც კი დამირეკეს.

სოფია: რატომ?

ვანო: შენს იუბილეზე სალაპარაკოდ...

სოფია: რაა სალაპარაკო?

ვანო: რთულ სიტუაციაში ჩავდექითო. არ ვიცით რა ვქნათო.

სოფია: რასთან დაკავშირებით?

ვანო: შენი ვიდეოს გამო, დედა. რაც ილაპარაკე, როგორც ილაპარაკე… აღშფოთებულია ხალხი.

სოფია: ბავშვები შიმშილით იხოცებიან, მაგაზე არ აღშფოთდნენ და ჩემს ვიდეოზე აღშფოთდნენ?

ვანო: რა შუაშია ახლა ეგ?

სოფია: რა უნდოდათ ოპერიდან, რა გითხრეს?

ვანო: არაფერი. ძალიან დელიკატურად მიმანიშნეს, რომ იუბილე შეიძლება ჩაიშალოს თუ…

სოფია: რა თუ?

ვანო: თუ ასე გააგრძელებ.

სოფია: უარესს ვიზამ.

ვანო: აბა, შენ იცი.

სოფია: რა დროს იუბილეა. სიმართლე რომ გითხრა, გული მერევა ოპერაში რომ შევდივარ. ხომ მთელი ჩემი ცხოვრება მაგ ადგილს უკავშირდება და თითქოს ნოსტალგია უნდა მქონდეს. მაქვს. არა, ნოსტალგიაც მაქვს, მაგრამ თან გული მერევა. იცი რა მინდა? მოხეტიალე დასი მინდა. მიტოვებულ და დაცარიელებულ სოფლებში მოგზაურობა მინდა. მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი და საქართველოში იმდენ ადგილას არ ვარ ნამყოფი. მინდა ჩავიდე. მთაში მინდა. დაცლილ სოფლებში. მოხუცებთან. უკანასკნელებთან. იცი რამდენი სოფელი იცლება? იტბორება? მინდა ბალეტი დავდგა. ჩემი ასაკის გოგო-ბიჭებისთვის..გვერდით მინდა მივუჯდე და მათი მოგონებებს მოვუსიმინო და ეს მოგონებები დავდგა ცეკვად. უმწეობის ცეკვა. მათი მოგონებები ადრე გათხოვებაზე, მერე დაქვრივებაზე, შვილების წასვლაზე, შვილების უყურადღებობაზე, გულის ტკენაზე, გულის ჩაწყდომაზე… სასაფლაოზე ჩამოწოლილ მეწყერზე და საფლავიდან გამოჩრილ ძვლებზე. მინდა ვიცეკვოთ იქ სადაც უკანასკნელად ჭრიალებს კარი, იქ სადაც უკანასკნელი დენის მრიცხველი ტრიალებს და მალე საბოლოოდ ჩაქრება ნათურა... ჩამოილეწება მინები. გზები გაბალახდება და ტყე დაიძრება სოფლისაკენ.

ვანო: კიდევ აპირებ რამის ჩაწერას?

სოფია: ვნახოთ.

ვანო: რა ვნახოთ? რა ვნახოთ?

კარზე ზარია.

ვანო: თუ ჟურნალისტები არიან არ გაუღო გთხოვ.

სოფია: კარგი ბატონო.

სოფია შემობრუნდება მაროსთან ერთად. ვანო უახლოვდება მაროს.

ვანო: შენ აქ რას აკეთებ?

სოფია: იცნობთ ერთმანეთს?

ვანო: რას ჯანდაბას აკეთებ აქ?

მარო: ვმუშაობ.

ვანო: სად მუშაობ?

სოფია: ჩემთან მუშაობს.

ვანო: რას აკეთებს?

სოფია: მეხმარება.

ვანო: რაში გეხმარება?

სოფია: ყველაფერში. მივლის…

ვანო: სად იპოვნე?

სოფია: ქუჩაში.

ვანო: ხომ შემოგთავაზე, ავიყვან-მეთქი ვინმეს. დაგეხმარება-მეთქი. უარი მითხარი. არ მითხარი უარი? თუ ვინმე გჭირდებოდა, გეთქვა ჩემთვის და აგიყვანდი ვინმეს. პროფესიონალს.

სოფია: არ მჭირდება პროფესიონალი მომვლელი.

ვანო: აბა, ვინ გჭირდება? პროფესიონალი ბოზი? იცი ხომ რომ ბოზია?

სოფია: რა მნიშვნელობა აქვს.

ვანო: და ის იცი რომ ბიჭია?

სოფია: რა მნიშვნელობა აქვს?

ვანო: აბა, რასა აქვს მნიშვნელობა რას? არ გამაგიჟო. შენ კიდევ როგორ მოაგენი?

მარო: რა მოვაგენი? მანქანა გამიჩერა. რომ მცოდნოდა დედაშენია არ დავთანხმდებოდი საერთოდ.

ვანო: ახლა ხომ გაიგე? მიდი, აახვიე აქედან.

მარო: რა იყო კი არ შევჭამ დედაშენს?

ვანო: გაეთრიე...

ვანო მაროს თმაში წაავლებს ხელს და კარისკენ მიათრევს. მარო უძალიანდება.

სოფია: რას შვები? რას? დაანებე თავი.

მარო: გამიშვი ხელი, შე, ნაგავო.

ვანო: წახვალ თუ გაგათრიო ჩემი ხელით?

მარო: იცით რატომ მაგდებს?

ვანო: გადი მეთქი, დროზე.

მარო: მინეტს რომ გიკეთებდი ხომ მოგწონდა არა?

ვანო მაროს ურტყამს

მარო: დედაშენთან მერიდება, თორემ გაგიერთიანებდი თავ-ყბას.

ვანო: გაეთრიე დროზე!
მარო: უკაცრავად, სოფია. ნახვამდის!

მარო გადის. პაუზა.
ვანო: დედა, მომვლელს დღესვე გიპოვნი. ვერ მითხარი?

სოფია: არ მინდა არავინ.

ვანო: კი მაგრამ…

სოფია: მართალია?

ვანო: რა?

სოფია: რაც თქვა მარომ?

ვანო: არა, მოიგონა, რა თქმა უნდა. მატყუარაა. როგორ შეიძლება მაგისი ნდობა, კიდევ კარგი შემხვდა და კიდევ კარგი ვიცანი, თორემ წაიღებდა ყველაფერს.. გამოაცალიერებდა სახლს.

სოფია: სახლს გამოაცალიერებდა?

ვანო: კი. ვინმე კარგ, პატიოსან ქალს გიპოვნი და მოვიყვან. რაღაც სააგენტოც არსებობს და შევარჩევ ვინმეს. პატიოსან ქალს, შენ რომ მოგეწონოს ისეთს. ახლა უნდა გავიქცე და დაგირეკავ.

ვანო დედას კოცნის და გადის.

5.

კარს მიღმა. სოფია და ფსიქიატრი.

სოფია: დედოფლების ბაღთან გაგივლიათ?

ფსიქიატრი: არა. სად არის დედოფლების ბაღი.

სოფია: ვერის ბაღში. ჭადრაკის სასახლის უკან. ცოტა ხნის წინ მსოფლიოს ჩემპიონი ქალების სახელობის ნერგები დარგეს. არ ვიცი რა ხეებია. შეიძლება მუხებია. შეიძლება ცაცხვებია. არ ვიცი. ვერ მივხვდი. თუ გაივლით, დააკვირდით რა, ძაან კარგად აჩვენებს ზოგადად ჩვენს დამოკიდებულებას ისტორიასთან...

ფსიქიატრი: მაინც რას აჩვენებს?

სოფია: დედოფლების სახელები, პატარა ბარათებზე დაწერილები, ნერგებს რომ შეაბეს, ქარმა წაიღო... ახლა ნაგავს აგროვებენ იმ ადგილას. ბალახს და გასხლულ ტოტებს აგროვებენ. იქვე მებაღეების გამოსაცვლელი ოთახია. და ერთი მებაღე, სამუშაოს რომ მორჩება, ჯდება სკამზე, ფორმას არც იხდის და ზის ასე, თვალებდახუჭული. მკვდარს ჰგავს. იქაურობას ჰგავს, სადაც ზის. რამდენიმე ნერგი უკვე გახმა და დანარჩენებიც გახმება ალბათ.

ფსიქიატრი: ისტორიასთან დამოკიდებულება სად ჩანს?

სოფია: გეტყვით. მათ ძველ ფოტოებს ვათვალიერებდი.

ფსიქიატრი: ვის ფოტოებს?

სოფია: ჩემპიონების ფოტოებს. ნონა, მაია და ნანები... მათი ახალგაზრდობის ფოტოებს ვუყურებდი და ანათებენ, ბრწყინავენ. იციან რომ ყველაფერი შეუძლიათ. წინ ვერავინ დაუდგებათ. ჰოდა, ვფიქრობდი, რომ ეს ქალები, თავიანთი სრულიად განსხვავებული ბედისწერით საქართველოზე იმდენ რამეს

გვეუბნებიან. მათი ბიოგრაფიები გაცილებით ბევრს ყვება და ისეთ რაღაცეებს ყვება, რასაც ისტორიის სახელმძღვანელოებში არ წერენ.

ფსიქიატრი: მაგალითად?

სოფია: მაგალითად, ნონა ავიღოთ. ასე ნახევარი საუკუნის წინ, ერთი ციდა გოგო მატარებლით რომ მიდიოდა. ყველა სადგურზე ჩერდებოდა მატარეგელი. ყველა ბაქანზე ყვავილებით ხვდებოდა ხალხი… იცი? არ გემახსოვრება შენ. პატარა ხარ. მე მახსოვს. აი, რამდენიმე წლის წინ კი აქციაზე სპეცრაზმის ალყაში მოქცეული, შტურმის დროს, ძირს დავარდნილა. თვითონ ყვება ნონა ინტერვიუში, ასფალტზე ვიწექი და ხალხმა ზედ გადამიარაო. ზუსტად იმ ხალხმა ვინც ბაქანზე ხვდებოდა ყვავილებით. ან იმათმა შვილებმა. რა მნიშვნელობა აქვს. არადა, ნახევარი საუკუნე არც არის გასული. გესმით? ძლივს გაუყვანიათ სპეცრაზმის კორდონიდან. ვიღაც ვეტერანს უცვნია და იმას გაუყვანია. ნონა მომყავს, ნონა, გამაყვანინეთო.

ფსიქიატრი: ამას იმიტომ იხსენებთ, რომ არც თქვენ გქონდათ მარტივი ცხოვრება?

სოფია: ვის აქვს რომ მარტივი ცხოვრება? თქვენ მარტივი ცხოვრება გაქვთ?

ფსიქიატრი: უბრალოდ ვცდილობ ბევრ რამეს მარტივად შევხედო.

სოფია: რაღაც სერიალი ყოფილა მოჭადრაკე გოგონაზე და ერთი ამბავი ატეხეს, სერიალში ნონაც გამოჩნდაო. სულ რამდენიმე წამით გამოჩენილა.გესმით? ნონა. ჩვენი ნონა. ახლა გაახსენდათ. საერთოდ ვერ ვხვდებით, რა ძალა აქვს ჩვენს ისტორიას, ჩვენს ბიოგრაფიებს… რამხელა სიღრმე აქვს თუ დავუკვირდებით… მარტო ბიოგრაფიებს? ადგილებს? შენობებს? მაგალითად, კოსტავას ქუჩაზე არის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა. იცით ახლა რა არის შიგნით? რა არის და კაზინო. კაზინო.

ფსიქიატრი: თქვენს ქცევას რომ მივუბრუნდეთ?

სოფია: კარ-ფანჯრებს კედლებში ჭრიან. მაგრამ სახლის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ჰქმნის.

ფსიქიატრი: რისი თქმა გინდათ?

სოფია: მე უბრალოდ სახლი გამოვაცარიელე. იმიტომ რომ სული მეხუთებოდა, იმდენი უსარგებლო ნივთია სახლში... რატომ ვაგროვებთ ამ ყველაფერს. ამ ნაგავს რატომ ვაგროვებთ. მივხვდი, რომ არაფერში მჭირდებოდა.

ფსიქიატრი: და ფანჯრიდან გადაყარეთ?

სოფია: ჰო. ნახატები, ფოტოები, ჯილდოები.

ფსიქიატრი: რა ჯილდოები?

სოფია: ხელოვნების ქურუმის ორდენი.

ფსიქიატრი: ხელოვნების ქურუმის ორდენიც გადააგდეთ?

სოფია: პირველი ეგ მოვისროლე ფანჯრიდან.

ფსიქიატრი: ვინმეს რომ დასცემოდა თავში?

სოფია: უკანა ეზოში გადავაგდე. იქ არავინ დადის.

6.

სოფია და ვანო ბრუნდებიან სახლში. სოფია ფეხსაცმელს იხდის. უყურებს.

სოფია: მამა იდგა და რეცხავდა ჩვენს ტალახიან ფეხსაცმელს. ჩემს ფეხსაცმელს, ჩემი საცოდავი ძმის ფეხსაცმელს, დედაჩემის ფეხსაცმელს. ყოველ საღამოს რეცხავდა და დილით უსვამდა საცხს, ჯაგრისს და აპრიალებდა. ვერასოდეს ვხვდებოდი რატომ აკეთებდა ამას მამა. ვღიზიანდებოდი. ვბრაზდებოდი მამაზე. მეტი საქმე არა აქვს თქო ვფიქრობდი. რა აზრი ჰქონდა ფეხსაცმლის წმენდას,

როცა გარეთ ქვეყანა იქცეოდა, გუბეები იდგა და გარეთ გავიდოდით თუ არა ტალახში ამოვისვრებოდით.

ვანო: მამაჩემს არასოდეს გაურეცხავს ჩემი ფეხსაცმელი.

სოფია: ჰო, მამაშენს სად ეცალა მაგისთვის. არ ეკადრებოდა.

(სოფია და ვანო მაგიდასთან დასხდებიან)

ვანო: გშია?

სოფია: არა.

ვანო: გამხდარი ხარ.

სოფია: მოვხუცდი. გავილიე. მალე საერთოდ გავქრები. სულს დავლევ.

ვანო: ნუ ლაპარაკობ რა სისულელეებს.

სოფია: რა არის სისულელე?

ვანო: ნუ ფიქრობ მაგაზე.

სოფია: აბა, რაზე ვიფიქრო?

ვანო: რა ვიცი… რამდენ რამეზე შეიძლება ფიქრი.

სოფია: მართალი ხარ. რამეს დალევ? დალევა მომინდა. გინდა გავხსნა კონიაკი? შენი ასაკის არის. ზუსტად შენხელა. რომ დაიბადე, მაშინ გვაჩუქა ვიღაცამ, ოღონდ ვეღარ ვიხსენებ ვინ. შეიძლება ნათლიაშენმა. შეიძლება...

ვანო: დედა, გადმოდი ჩვენთან.

სოფია: სად თქვენთან?

ვანო: ჩვენთან საცხოვრებლად.

სოფია: გმადლობ, არ მინდა.

ვანო: რატომ?

სოფია: აქ მირჩევნია.

ვანო: მაშინ მართლა დავიქირავებ რა. მომვლელს…

სოფია: მე ვინც დავიქირავე და გააგდე.

ვანო: და ამიტომ გადაყარე ყველაფერი სახლიდან?

სოფია: უბრალოდ უცბად სული შემეხუთა. ისეთი სივიწროვე იყო.

ვანო: სად აქ? 300 კვადრატია ლამის. თუ მეტია?

სოფია: არ ვიცი.

ვანო იღებს ბოთლს და ათვალიერებს.

სოფია: ქეთიმ იცის? შენმა ცოლმა. მეორე შვილი რომ გყავს?

ვანო: რა მეორე შვილი?

სოფია: კარგი რა. რა საჭიროა ეს. ტელევიაში ხომ არ ვზივართ. პოლიტიკაზე ხომ არ ვლაპარაკობთ. მე ბევრი რამე ვიცი, ისეთი რაც შენ გგონია რომ არ ვიცი. მოდი, გახსენი ახლა და დამისხი მეც ცოტა.

ვანო კონიაკს ხსნის.

ვანო: საიდან იცი?

სოფია: რა?

ვანო: შვილზე?

სოფია: რა მნიშვნელობა აქვს. გავიგე და რაც მთავარია გავიცანი.

ვანო: ვინ გაიცანი?

სოფია: ჩემი შვილიშვილი. საოცარი ბავშვია. შენ გგავს. შენნაირი თვალები აქვს. იცი რა გამახსენდა? ასე სამი-ოთხი წლის იყავი. სასაფლაოზე ვიყავით, ბებიაშენის საფლავს ვეძებდი. რატომღაც ამოვიჩემე რომ უნდა მენახა. შენ წაგიყვანე. დარბოდი ამ საფლავებს შორის, ცეკვავდი. საერთოდ ისეთი მხიარული ბავშვი იყავი, ისეთი მხიარული... ჰოდა, ეგ სურათი, ეგ კადრი არ ამომდის თავიდან. როგორ დარბიხარ ამ ქვებს შორის და არ განაღვლებს არაფერი, არც სიკვდილი. არ იცი რომ ქვებს შორის გვამები წვანან, რომ მატლები ხრავენ ამ გვამებს. შენთვის მხოლოდ მზე ანათებს, ნიავი დაქრის, ბალახი შრიალებს და დედიკო არსებობს, რომელიც უკან მოგყვება და დარწმუნებული ხარ, რომ არასოდეს მიგატოვებს.

ვანო დგება და ცეკვავს. ცეკვავს ზუსტად ისე, როგორც ცეკვავდა ბავშვობაში, საფლავის ქვებს შორის.

7.

კარს მიღმა. მარო და სოფია.

მარო: ვტვირთავ. ვაჭერ. გავუშვი. მორჩა. ღმერთო, ჩემო.... ახლა დავიმალოთ. გადავიფაროთ საბანი. ჩავკეტოთ კარი-ფანჯრები. სკანდალი ახლა უნდა ნახო. ეს წინაზე უარესია .ბომბია.

სოფია: ცუდია. არ მოგწონს?

მარო: არა, მე კი მომწონს, მაგრამ არამგონია ბევრს მოეწონოს…

სოფია: რა?

მარო: ხომ იცი როგორია ხალხი?

სოფია: საწყალი. მეცოდება ეს ხალხი. ძალიან მეცოდება. არ იმსახურებენ ამას.

მარო: რას?

სოფია: აი, ამ ყველაფერს. როგორც ცხოვრობენ ამ ქვეყანაში, მაგას არ იმსახურებს. როგორ დაიტანჯნენ, რა არ გამოიარეს... ხანდახან ვუყურებ ასაკოვან ადამიანებს და ვფიქრობ, რამდენი იწვალა ალბათ ცხოვრებაში, რამდენი იშრომა, რამდენი რამე ნახა და ახლა ქუჩაში ზის და მათხოვრობს. რითი დაიმსახურა ასეთი ცხოვრება? რატომ? რატომ არ ვაფასებთ მოხუცებს..

მარო: თუ ეს დაგამშვიდებს, გეტყვი, რომ არც ახალგაზრდებს აფასებენ.

სოფია: არც ბავშვებს.

მარო: ბავშვებს მითუმეტეს... ისინი ხომ არჩევნებში არ მონაწილეობენ.

სოფია: გუშინ ანდერძი დავწერე.

მარო: კარგი გამოგივიდა?

სოფია: მგონი კი. გადავწყვიტე, რომ ეს ბინა შენ დაგიტოვო.

მარო: რა?

სოფია: ეს სახლი. შეიძლება?

მარო: გინდა რომ მომკლას?

სოფია: ვინ?

მარო: რა ვინ? მომკლავს შენი შვილი.

სოფია: რატომ უნდა მოგკლას? იმას არაფერში სჭირდება არც ეს სახლი და…არც მოგონებები, რაც ამ სახლთან აკავშირებს.

მარო: არც მე მჭირდება.

სოფია: რატომ?

მარო: იმიტომ რომ არ მინდა.

სოფია: გაქვს სახლი?

მარო: არა, არ მაქვს, მაგრამ არ მინდა. არ მინდა სამადლოდ გადმოგდებული არაფერი.

სოფია: რას ამბობ? ვერ ვხვდები.

მარო: უბრალოდ არ მინდა შენი სახლი. არ მინდა ვინმემ იფიქროს, შენთან იმიტომ დავდიოდი, იმიტომ გივლიდი, რომ სახლზე ვჩალიჩობდი... არ მინდა, გმადლობ.

სოფია: კარგი, არ გინდა. უბრალოდ ჩამეხუტე რა.

სოფია მაროს ეხუტება.

მარო: ისევ სისხლზე გადიხარ?

სოფია: შენ რა იცი?

მარო: იმ დღეს ჩასარეცხი დაგრჩა უნიტაზი. მუქი სისხლია.

სოფია: მუქია? არ ვიცი. დავიღალე მძღნერში ყურებით.

მარო: იყავი ექიმთან?

სოფია: ვიყავი.

მარო: რაო?

სოფია: ახალი არაფერი. ისეთი არაფერი რაც არ ვიცოდი. ისე კარგი ბიჭი იყო. ახალგაზრდა, ლამაზი, მაგრამ სასტიკი… ცოტა რეზოს ჰგავდა. ჩემს ქმარს.

მარო სოფოს თავზე ეფერება.

მარო: რა ნაზი თმა გაქვს.

სოფია: სადღა მაქვს თმა.

მარო: იცი რას ნიშნავს ლანუგო?

სოფია: არა.

მარო: ბუმბულს, ბალანს პირველად ამოგვდის, რომლითაც დაფარულია ადამიანის 7– 8-თვიანი ნაყოფის სხეული.

სოფია: ფსალმუნს წამიკითხავ?

მარო: უფალმან მწყემსოს მე და არაი მაკლდეს... ადგილსა მწვანესა დამამკვიდრა მე, და განსასვენებელ წყლებზე გამომზარდა. მოაქცია სული ჩემი და მიძღოდა მე გზათა სიმართლისათა სახელითა მისისათვის. სიკვდილის აჩრდილთა შორისაც რომ გავიარო, არ შემეშინდება ბოროტისა, რადგან ჩემთან ხარ… წყალობა შენი, უფალო, წყალობა შენი. თანამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისასა, ყოველთა დღეთა ჩემთა ცხოვრებისასა…

8

ოთახი. სოფია და ვანო.

ვანო: ხალხი იკრიბება.

სოფია: რაღაც ხმები კი მესმოდა. რა ხდება?

ვანო: აქციაა.

სოფია: რას ითხოვენ?

ვანო: რა გამიკეთე… ეს რა გამიკეთე. ჩაიცვი დროზე. უნდა წავიდეთ.

სოფია: სად მივდივართ?

ვანო: ფსიქიატრიულში.

სოფია: რა გვინდა ფსიქიატრიულში.

ვანო: ან არ გინდა. არ ჩაიცვა. ეგრე იყავი. პერანგში. ასე უფრო დამაჯერებელი იქნება.

სოფია: რა იქნება დამაჯერებელი?

ვანო: ის რომ გაგიჟდი. ვიტყვი, რომ გაგიჟდი. ასე უნდა ვთქვა. არა, მე კი ვიცი, რომ გაგიჟდი. ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ სხვებმაც ხომ უნდა დაიჯერონ…

სოფია: ვირზეც ხომ არ დამსვამ უკუღმა?

ვანო: მე არა, მაგრამ აი, ისინი, ვინც გარეთ დგას, ისინი დაგსვამენ ნამდვილად. თუ გაკმარეს ვირი.

სოფია: კი მაგრამ რა უნდათ ჩემგან? ვინ არიან? რას გადამეკიდენ.

ვანო: შენი ფანები.

სოფია: მართლა?

ვანო: რა მართლა? რამე წმინდა არსებობს შენთვის?

სოფია: უნდა დავფიქრდე.

ვანო: არა, არ არსებობს. აქამდე უნდა გეფიქრა. არ იცოდი რა მოყვებოდა ამას? სულ დაკარგე ჭკუა. სულ გამოჩერჩეტდი?

სოფია: როგორ მელაპარაკები?

ვანო: როგორც იმსახურებ , რასაც იმსახურებ ისე გელაპარაკები. იცი რამდენს ვფიქრობ შენზე, სულ სინდისი მქეჯნის. დღეში ხანდახან სამჯერ გირეკავ. როგორ ხარ? რამე ხომ არ გჭრდება? და შენ. შენ მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ და ასე იყო სულ. შენი კარიერის მეტი არაფერი გაინტერესებდა. შენი ბალეტი და...

სოფია: არ არის ასე.

ვანო: ასეა. ასე იყო და ასეა დღემდე. მიდი, ჩაიცვი. ჰო, მართლა. იუბილე გააუქმეს. მორჩა. აღარ იქნება. ჩაიშალა. დილით დამირეკეს.

სოფია: არა, ცოტა მეზარებოდა.

ვანო: რა გეზარებოდა? რა?

სოფია: რა და კოპენჰაგენი.

ვანო: რა კოპენჰაგენი?

სოფია: მაგრამ უნდა წავიდე.

ვანო: სად?

სოფია: კოპენჰაგენში.

ვანო: კოპენჰაგენში რა ჯანდაბა გინდა?

სოფია: მიმიწვიეს. რას ნიშნავს რა ჯანდაბა მინდა. როგორ მელაპარაკები მართლა?

ვანო: ვინ?

სოფია: ოპერიდან. ვინ მიმიწვევდა?

ვანო: რასთან დაკავშირებით?

სოფია: კვირას მივფრინავ.

ვანო: სად მიფრინავ არ გამაგიჟო.

სოფია: ჩამოდი შენც.

ვანო: სად?

სოფია: მართალია არ მეცლება, მაგრამ ჩამოდი და საღამოობით ერთად ვიქნებით. ვისეირნებთ. რამდენი ხანია არ გვისეირნია.

ვანო: მოიცა, მართლა დაგირეკა ვინმემ?

სოფია: დამირეკეს, რეზო, დამირეკეს. აბა, ხომ არ მოგატყუებ.

ვანო: ვინ რეზო?

სოფია: კარგია ახლა.

ვანო: რეზო მამაჩემია.

სოფია: ორი თვით მივდივარ.

ვანო: მე შენი შვილი ვარ.

სოფია: ჰო.

ვანო: რა ჰო?

სოფია: არაფერი. კონიაკს დალევ?

სოფია კონიაკს სირჩაში ჩამოსხამს.

ვანო: ჩაიცვი, დედა, ჩაიცვი. წავიდეთ მართლა. ფსიქიატრთან მივიდეთ. რამდენიმე დღე დავრჩეთ და...

სოფია: რა მინდა ფსიქიატრთან? ხომ გითხარი მივფრინავ. სად მცალია ფსიქიატრებისთვის?

ვანო: არსად არ მიფრინავ!

სოფია: კი, რეზო მივფრინავ.

ვანო: არ ვარ მე რეზო. ვანო ვარ, შენი შვილი ვარ. ვანო. ვანო!

სოფია: ვანოს ხომ მიხედავ? არ უყვირო კარგი? და არ დაარტყა. შემპირდი, რომ არ დაარტყამ. შემპირდი, თორემ არ წავალ.

ვანო: დედა.

სოფია: შემპირდი.

ვანო: არ დავარტყამ.

სოფია: დაიფიცე.

ვანო: გეფიცები.

ვანო: დაჯექი რა.

სოფია: იცი როგორ განიცდის როცა ყვირი? თვალები უცრემლიანდება და ვერაფერს ამბობს… შიგნით იხვევს ყველაფერს. აი, დააკვირდი. რომ დაიყვირებ, დააკვირდი. ჩახედე თვალებში. შეხედე მის სახეს... როგორ დგას. როგორ დგას. ერთი ბეწოა, რეზო. ერთი ციცქნაა. ჩვენს იქით არავინ არ ჰყავს. მე და შენ სახლში თითქმის არ ვართ და რა ქნას? ვენატრებით.

ვანო: აღარ დავუყვირებ.

სოფია: ცრემლებით ევსება თვალები და არ იცის სად წავიდეს. პატარა ხელებს მომუშტავს და ვერ ინძრევა. გთხოვ, რეზო. გთხოვ აღარ იყვირო. კარგი?

(ვანო კონიაკის სირჩას გამოცლის)

სოფია: და არ დაარტყა. ისედაც ძალიან შეშინებულია იმის მერე.

ვანო: რის მერე?

სოფია: რაც დაინახა…

ვანო: რა დაინახა?

სოფია: არ იცი რა დაინახა?

ვანო: ვიცი კი...

სოფია: არ ფიქრობ, რომ ჯობდა გეღიარებინა? ჯობდა ჩამჯდარიყავი ციხეში? იცი გასვენებაში რომ მივედი? გასვენებაში მივედი იმ კაცის გასვენებაში და… ყველა მე მიყურებდა. ეს სოფია არ არისო. ეს სოფია არ არისო ჩურჩულებდნენ. წრე დავარტყი და იმის ცოლთან გავჩერდი. გაოცებულმა ამომხედა. ცრემლიანი თვალებით… ისე ამომხედა რომ… ისე ამომხედა. ჰოდა, არ უყვირო რეზო. აღარ გაბედო ყვირილი. გესმის? და ეს მცენაარეები მორწყე ხომ? არ დაგავიწყდეს.

ვანო: კარგი, მოვრწყავ. ჩაიცვი ახლა და აეროპორტში წაგიყვან.

(სოფია იღებს სარწყავს და გადამხმარ მცენარეებს წყალს ასხამს)

სოფია: აი, მოვრწყავ და ჩავიცვამ. შეხედე. მეგონა გახმა ეს მცენარე… მეგონა გახმა და ნახე, შეხედე… პატარა თეთრი ყვავილი გამოუღია. ხედავ? აყვავდა. მაინც აყვავდა. რა ლამაზია. არა? ხომ ლამაზია?

ვანო: კი, ძალიან ლამაზია.

სოფია: მართლა გამხმარი მეგონა.

ვანო: სოფია, ბოდიში.

სოფია: რისთვის?

ვანო: ყველაფრისთვის. როგორც ვიქცეოდი… გული მერევა.

სოფია: გამოვიცვლი და წავიდეთ.

(სოფია გადის)

ვანო: გული მერევა. ცუდად ვარ. წყალი მომიტანე რა, სოფია. წყალი, დედა. დედა!

ვანო რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ სიარულს ვერ ახერხებს. ძირს წვება, იკრუნჩხება და გონებას კარგავს. სოფია გამოდის ბალერინას კაბაში გამოწყობილი. ვანოსთან ახლოს მიდის. ჩაიმუხლება და აკვირდება.

სოფია: იმდენი ხანი ვინახავდი ამ საწამლავს. იმდენი ხანი. ძლივს გავბედე! არ მჯერა მე შენი ბოდიშის! აღარ მჯერა! ვერ დავიჯერებ!

წამით თითქოს იაზრებს, რომ ქმრის ნაცვლად შვილი მოწამლა. რთავს კამერას. რთავს მუსიკას. დგება კამერის წინ და იწყებს ცეკვას. ცეკვავს იქამდე, სანამ უსულოდ არ ეცემა იატაკზე.